

შპს „Wonderland Preschool” - ის დირექტორს
ბ. ე. მ. ვ.-ს

მისამართი: ქ. თბილისი, ლუბლიანას 11
ტელეფონი: 599 05 07 08

რეკომენდაცია

ქცევის ნიშნით აღქმითი პირდაპირი დისკრიმინაციის დადგენის შესახებ

*შემუშავებულია „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს
კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად*

ქალბატონო ბ. ე.,

საქართველოს სახალხო დამცველს 2018 წლის 24 იანვარს N1045/18 განცხადებით მომართა ქ.
ჭ.-მა. განმცხადებელი მიუთითებს, რომ მისი შვილი - ნ. ტ.-ძე საბავშვო ბაღიდან - შპს
„Wonderland Preschool” გარიცხეს იმ საფუძველით, რომ ბავშვი არის ზედმეტად აქტიური,
აგრესიული და მას ჯგუფში მუშაობა არ შეუძლია.

1. ფაქტობრივი გარემოებები

განმცხადებლის ორი წლის და ათი თვის შვილი - ნ. ტ.-ძე 2017 წლის სექტემბრის თვიდან
ირიცხებოდა კერძო ბაღში „Wonderland Preschool“, საიდანაც გარიცხეს, რადგან ავლენს
აგრესიულ ქცევას და არ აქვს ჯგუფში მუშაობის უნარი. განმცხადებელი განმარტავს, რომ
აღნიშნული არ შეესაბამება სიმართლეს, ვინაიდან ბაღიდან გარიცხვის შემდეგ ნ. მიიყვანეს
სხვა საბავშვო ბაღში, სადაც აღნიშნავენ, რომ ბავშვი ძალიან კონტაქტურია და მისი ქცევაც
ადეკვატურია. ამასთან, როგორც განმცხადებელი მიუთითებს, აღმზრდელმა - ს. გ.-მა ნ.-ს
უთხრა: „**საცოდავი დედაშენი შენს ხელში, როგორ გიძლებს**“ და თავში ხელი ჩაართყა.

საქმისწარმოების ფარგლებში, სახალხო დამცველის თანასწორობის დეპარტამენტმა
მოპასუხეს მიმართა ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით. თავის მხრივ, მოპასუხემ 2018 წლის
9 თებერვალს მოგვმართა წერილით, რომლითაც ითხოვა კერძო პირებთან მიმართებით
საქართველოს სახალხო დამცველის, როგორც დისკრიმინაციასთან ბრძოლის მექანიზმის
მანდატის განმარტება. 2018 წლის 12 თებერვალს თანასწორობის დეპარტამენტმა მოპასუხეს
წერილით მიაწოდა გამოთხოვილი ინფორმაცია.

2018 წლის 16 თებერვალს მოპასუხის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ნ. ტ.-ძე 2017 წლის სექტემბრიდან 2 წლიანთა ჯგუფში ჩაირიცხა. ხელშეკრულება გაფორმდა ბავშვის დედასთან, რის საფუძველზეც ბავშვი მიღებულ იქნა საბავშვო ბაღში. ბაღის ადმინისტრაციამ და პედაგოგებმა არაერთხელ შესთავაზეს მშობელს თანამშრომლობა, რათა ბავშვს სხვა აღსაზრდელებთან კომუნიკაციის უნარები გამოემუშაებინა, ხოლო მშობელმა უარი განაცხადა და არ იმოქმედა რეკომენდაციების შესაბამისად. შესაბამისად, საბავშვო ბაღის მხრიდან ხელშეკრულების შეწყვეტის მიზეზი იყო არშემდგარი თანამშრომლობა.

მოპასუხე ასევე განმარტავს, რომ ნ.-ს მიღების შემდეგ გარკვეული პრობლემები დაფიქსირდა. ჯგუფური აქტივობის დროს, ბავშვი აგრესიულ ქცევას ამჟღავნებდა, რაც გამოიხატებოდა სათამაშოს სხვა ბავშვისათვის თავში ჩარტყმაში, სკამის მოქნევაში, მოკაწვრაში, კბენაში, თმების მოქაჩვასა და ბავშვის წაქცევაში. მსგავსი ქცევების სიხშირე კი 10 წუთის განმავლობაში 3-4 ინციდენტს უტოლდებოდა. ბავშვთან დაიწყო მუშაობა პედაგოგმა და ბაღის ფსიქოლოგმა. სპეციალურად ნ.-თვის შეიკვალა ჯგუფის პროგრამა და ნაცვლად გეგმიური აქტივობებისა, ბავშვებთან ზღაპრულ-თერაპიული მეთოდებით გაგრძელდა მუშაობა. აღნიშნულის შესახებ შეატყობინეს მშობელს. ბაღის ფარგლებში დაიწყო მუშაობა მისი კომუნიკაციური უნარ-ჩვევების გაუმჯობესებასა და აგრესიის დაძლევაზე, თუმცა რამდენიმე კვირიანი მუშაობის შემდეგ სიტუაცია არ შეცვლილა. ბარის ადმინისტრაციის წარმომადგენლები კვლავ შეხვდნენ მშობელს, რათა შეთანხმებულიყვნენ, რომ ბავშვის მიმართ მიდგომა ბაღსა და ოჯახში ყოფილიყო ერთმანეთის მსგავსი, თუმცა, შეხვედრის შემდეგ არაფერი შეცვლილა. ამ პერიოდის განმავლობაში, მიიღეს შენიშვნები სხვა აღსაზრდელების მშობლებისაგან, რომ ბავშვები სხვადასხვა დაზიანებებით მიდიოდნენ სახლში. საბოლოოდ, მოპასუხე განმარტავს, რომ განმცხადებლის მხრიდან არ იდგმებოდა შემხვედრი ნაბიჯები და თანამშრომლობა ვერ შედგა. შეთანხმებული მოქმედებების ნაცვლად მხარეები არ იზიარებდნენ ერთმანეთის პოზიციებს, რასაც საბოლოოდ სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტა მოჰყვა.

მოპასუხის წერილი გაეგზავნა განმცხადებელს, რომელმაც 2018 წლის 7 მარტს დამატებით წარმოადგინა საკუთარი პოზიცია, რომლის თანახმად, მისი შვილის უნარ-ჩვევების შესახებ ბაღის ადმინისტრაციას ინფორმაცია ჰქონდა არა 2017 წლის სექტემბრიდან, არამედ იმ დროიდან, როდესაც ბავშვი ბაღში ჩაირიცხა. კერძოდ, მისი შვილი 2016 წლის 2 დეკემბრიდან 2017 წლის ივნისის ჩათვლით დადიოდა ბაღში 2 წლამდე ასაკის ბავშვებზე გათვლილ პროგრამაზე (გაკვეთილების რაოდენობა იყო კვირაში სამი დღე 2 საათიანი ხანგრძლივობით). განმცხადებელი მიუთითებს სხვადასხვა ფაქტზე, როდესაც ბაღის ადმინისტრაციიდან დაურეკეს და სთხოვეს ბავშვის დროზე ადრე გაყვანა, ასევე გამოხატავდნენ პრეტენზიებს (მაგალითად: წვნიანი დააქცია, სათამაშო გადააგდო და სხვა).

წარუმატებელი თანამშრომლობის შესახებ განმცხადებელი განმარტავს, რომ ნოემბრის ბოლოს ბაღის დირექტორმა - ბ. ე. მ. ვ.-მ და ფსიქოლოგმა - ბ. ჭ.-მა დაიბარეს და უთხრეს, რომ ფსიქოლოგის რეკომენდაციის თანახმად, ბავშვს ბაღი დროებით - ერთი ან ორი თვის

განმავლობაში უნდა დაეტოვებინა. განმცხადებელს უთხრეს, რომ ნ. სხვა აღსაზრდელებს აზიანებდა, აფერხებდა პროგრამას და ბავშვები მას გაუბოძდნენ. მეორე დღეს განმცხადებლის მეუღლე შეხვდა ბადის დირექტორს, რომელმაც მას განუმარტა, რომ გადაწყვეტილება ტაიმაუტის შეთავაზების შესახებ იყო არასწორი და ბავშვს შეეძლო ნახევარ განაკვეთზე სიარული. განმცხადებელი აღნიშნულს არ დაეთანხმა, ვინაიდან მიიჩნია, რომ მის შვილს სრულ განაკვეთზე ყოფნის უნარები გააჩნდა. დირექტორმა განმცხადებელს სთხოვა ერთჯერადად დასწრებოდა ჯგუფში ფსიქოლოგის მუშაობას, რათა იგივე თამაშებით დაეკავებინა ნ. სახლში. ამასთან, ფსიქოლოგი მხოლოდ ხუთშაბათობით მაქსიმუმ ერთი საათი მუშაობდა ჯგუფზე და დამატებითი მუშაობა მის შვილთან არ განხორციელებულა. განმცხადებელი განმარტავს, რომ არ არსებობს კვალიფიციური სპეციალისტის დასკვნა, რომელიც მისი შვილის აგრესიულ ქცევას დაადასტურებდა.

მიმდინარე წლის 27 მარტს, გაიმართა ზეპირი მოსმენა, რომელსაც დაესწრნენ ნ. ტ.-ის მშობლები - ქ. ჭ. და ი. ტ.; მოპასუხე მხარის მხრიდან - „Wonderland Preschool“ დირექტორი - ბ. ე. მ., იურისტი - გ. მ. და ფსიქოლოგი - ბ. ჭ.

2. სამართლებრივი დასაბუთება

თანასწორობის უფლება გარანტირებულია როგორც ეროვნული კანონმდებლობით, ასევე საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით. საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი წარმოადგენს თანასწორობის უნივერსალურ ნორმა პრინციპს, რომელიც გულისხმობს ადამიანების სამართლებრივი დაცვის თანაბარი პირობების გარანტირებას. აღნიშნული პრინციპი წარმოადგენს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს როგორც საფუძველს, ისე მიზანს.¹

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად, ამ კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა. ამავე კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, პირდაპირი დისკრიმინაცია არის ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება N 1/1/493, II,1.

დასახელებული მუხლების შინაარსიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ დისკრიმინაცია სახეზეა, როდესაც პირს ხელი ეშლება *საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობისას, არსებობს განსხვავებული მოპყრობა ანალოგიურ პირობებში მყოფი პირების მიმართ*, არ არსებობს *კანონით განსაზღვრული მიზანი*, განსხვავებულ მოპყრობას არ აქვს *ობიექტური და გონივრული გამართლება* და იგი დასახული *მიზნის არათანაზომიერია*.

იგივე პრინციპი გამომდინარეობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან. ევროპული სასამართლოს განმარტებით, იმისათვის, რომ საკითხი მოექცეს კონვენციის მე-14 მუხლით დაცულ სფეროში, აუცილებელია, რომ *განსხვავებული მოპყრობა არსებობდეს ანალოგიურ ან მსგავს სიტუაციაში მყოფი პირების მიმართ*. განსხვავებული მოპყრობა დისკრიმინაციულია თუ მას არ აქვს *ობიექტური და გონივრული გამართლება*, ე. ი. არ ისახავს *კანონიერ მიზანს* და არ არსებობს *პროპორციულობის გონივრული კავშირი გამოყენებულ საშუალებებსა და დასახულ მიზანს შორის*.²

2.1. კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები, რომელთა სარგებლობაში ხელი შეეშალა განმცხადებელს

როგორც აღინიშნა, იმის გამოსარკვევად, აქვს თუ არა ადგილი დისკრიმინაციას, აუცილებელია სახეზე იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული რომელიმე უფლების შეზღუდვა.

სკოლამდელი განათლება და მასზე ხელმისაწვდომობის უფლება მჭიდრო კავშირშია სხვა უფლებების ეფექტურ რეალიზებასთან და მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ადამიანის ადრეული ასაკიდან განვითარებას. საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სკოლამდელ აღზრდას სახელმწიფო უზრუნველყოფს კანონით დადგენილი წესით.

„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს სახელმწიფო ორგანოების, მუნიციპალიტეტებისა და სხვა იურიდიული პირებისა და ფიზიკური პირების უფლებამოსილებებს, ვალდებულებებს, ფუნქციებსა და პასუხისმგებლობას, აგრეთვე სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაფინანსების პრინციპებს. კანონის მე-3 მუხლის თანახმად, ადრეული **სკოლამდელი აღზრდა და განათლება** გულისხმობს 2 წლის ასაკიდან ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის პირველ კლასში შესვლამდე ბავშვის ყოველმხრივი განვითარების უზრუნველსაყოფად მისთვის მიწოდებული სააღმზრდელო და საგანმანათლებლო მომსახურებას; კანონის მე-4

² ECtHR, *Eweida and others v. United Kingdom*, nos: 48420/10, 59842/10, 51671/10, 36516/10, 15/01/2013, § 87-88; *Burden v. United Kingdom*, no: 13378/05, 29/04/2008, 29/04/2008, § 60

მუხლის თანახმად, სკოლამდელი აღზრდა და განათლება, მათ შორის, სასკოლო მზაობის პროგრამა, არის ნებაყოფლობითი, საყოველთაო და ხელმისაწვდომი შესაბამისი ასაკის ყველა ბავშვისათვის.

გაეროს ბავშვის უფლებების შესახებ კონვენცია³ მე-2 მუხლის პირველი პუნქტით, მე-3 მუხლის პირველი პუნქტითა და მე-4 მუხლით სახელმწიფოებს ავალდებულებს, უზრუნველყონ სასწავლო-სააღმზრდელო ინსტიტუციებში განთავსებულ ბავშვთა უფლებების ეფექტიანი სარგებლობა რაიმე ნიშნის მიუხედავად. ამასთან კონვენციის მე-3 მუხლი იმპერატიულად განსაზღვრავს, რომ *ბავშვების მიმართ განხორციელებულ ყველა მოქმედებაში, იმის მიუხედავად, მას გამოიყენებენ სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები, უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფას.*

ნ. ტ. იძულებული გახდა, შეეწყვიტა საბავშვო ბაღში სიარული. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში განმცხადებლის შვილს - ნ. ტ.-ს არ მიეცა საშუალება მოეხდინა ადრეული და სკოლამდელი განათლების უფლების სრულყოფილად რეალიზება.

2.2. ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფი პირებისადმი განსხვავებული მოპყრობა დისკრიმინაციისგან დაცული რომელიმე ნიშნის საფუძველზე

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, დისკრიმინაციის დასადგენად აუცილებელი წინაპირობაა კანონით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობისას განსხვავებული მოპყრობა ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფი პირების მიმართ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, დისკრიმინაციულ მოპყრობაზე მსჯელობა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ პირები კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებით შეიძლება განხილულ იქნენ როგორც არსებითად თანასწორი სუბიექტები.⁴

საქართველოს კონსტიტუცია კრძალავს კანონის წინაშე არსებითად თანასწორთა უთანასწოროდ და უთანასწოროთა თანასწორად მოპყრობას გონივრული და ობიექტური დასაბუთების გარეშე.⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, პირები არსებითად თანასწორები უნდა იყვნენ კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობებში და ისინი ამა თუ იმ შინაარსით, კრიტერიუმით, მსგავს კატეგორიაში, ანალოგიურ გარემოებებში

³ ბავშვის უფლებათა კონვენცია მიღებულია: 1989 წლის 20 ნოემბერს, საქართველოსთვის ძალაშია: 1994 წლიდან.

⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება №2/1/536, II,19

⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის გადაწყვეტილება #2/1/473, II, 1

უნდა ხვდებოდნენ, არსებითად თანასწორნი უნდა იყვნენ კონკრეტულ ვითარებასა თუ ურთიერთობებში.⁶

განსახილველ შემთხვევაში, განმცხადებლის შვილი - ნ. ტ. 2017 წლის სექტემბრის თვიდან იყო საბავშვო ბაღი „Wonderland Preschool“-ის ორ წლიანთა ასაკობრივი ჯგუფის აღსაზრდელი. ბაღმა 2018 წლის იანვრის თვეში განმცხადებელთან ცალმხრივად შეწყვიტა ხელშეკრულება. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, განმცხადებლის შვილი - ნ. ტ. და საბავშვო ბაღი „Wonderland Preschool“-ის სხვა აღსაზრდელები არიან არსებითად მსგავს მდგომარეობაში მყოფი პირები, ვინაიდან ყველა მათგანს ესაჭიროება სკოლამდელი განათლების მიღება.

განსახილველ შემთხვევაში, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ მოპასუხე მხარის მიერ განმცხადებლის შვილის ქცევის ჰიპერაქტიურად აღქმა დაედო საფუძვლად მის მიმართ განსხვავებულ მოპყრობას. მიუხედავად იმისა, რომ „ჰიპერაქტიურობა“ პირდაპირ არ არის მოხსენიებული დაცული ნიშნების ჩამონათვალში, იგი მოიაზრება *სხვა ნიშანში*, როგორც ადამიანისათვის დამახასიათებელი ქცევა. ვინაიდან „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის პირველ მუხლში მითითებული დაცული საფუძვლები არ არის ამომწურავი და სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტზე მსჯელობა შესაძლებელია ნებისმიერი ნიშნის საფუძველზე, მიუხედავად იმისა, არის თუ არა კონკრეტული ნიშანი კანონში დასახელებული.

2.3. ლეგიტიმური მიზანი და განსხვავებული მოპყრობის ობიექტური და გონივრული დასაბუთება

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, არსებითად თანაბარ მდგომარეობაში მყოფი პირების მიმართ განსხვავებული მოპყრობა, იმ შემთხვევაში ჩაითვლება კანონიერად, თუ არსებობს ლეგიტიმური მიზანი, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და გამოყენებული საშუალება დასახული მიზნის თანაზომიერია. ლეგიტიმური მიზნის არ არსებობის პირობებში, ადამიანის უფლებაში ნებისმიერი ჩარევა თვითნებურ ხასიათს ატარებს და უფლების შეზღუდვა საფუძველშივე გაუმართლებელია.⁷ უფლების შემზღუდავი ღონისძიება მიზნის მიღწევის ვარგის საშუალებას უნდა წარმოადგენდეს, მას გარდაუვლად, რეალურად უნდა შეეძლოს კონკრეტული მიზნების და ინტერესების უზრუნველყოფა.⁸

„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების,“⁹ პირველი მუხლით განსაზღვრულია თუ რა ცოდნას, უნარ-ჩვევებს, ღირებულებებსა და

⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება, II,2

⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილება N3/1/531, II, 15

⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება N1/4/557,571,576, II, 23

⁹ დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის N488 დადგენილებით; იხ.

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3838798>

დამოკიდებულებებს უნდა იძენდეს ბავშვი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ფარგლებში, ასევე განსაზღვრავს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების გარემოსა და საგანმანათლებლო ხარისხის სტანდარტს. **სტანდარტი სავალდებულოა** ყველა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებისათვის **მიუხედავად მათი სამართლებრივი ფორმისა.**

მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი კი ითვალისწინებს ბავშვის განვითარების (აღზრდა-განათლების) სფეროებს, მათ შორის არის: **სოციალურ-ემოციური განვითარება** (აღზრდა-განათლება) – ბავშვის ხელშეწყობა, განივითაროს ის უნარები, რომელიც სჭირდება პოზიტიური ურთიერთობების ჩამოსაყალიბებლად როგორც გარშემომყოფებთან, ისე საკუთარ თავთან, იმისათვის, რომ შეიცნოს საკუთარი თავი, ისწავლოს საკუთარი ემოციების, იმპულსებისა და ქცევის მართვა, ისწავლოს თანამშრომლობა და სხვა;

მე-16 მუხლი ითვალისწინებს **მიმართულება-ურთიერთობის ხარისხის სტანდარტს**, რომლის თანახმად,

1. სტანდარტი – თითოეულ ბავშვს აქვს თანატოლებთან პოზიტიური ურთიერთობის შესაძლებლობა. სტანდარტის ინდიკატორები: ა) საგანმანათლებლო პერსონალი ხელს უწყობს და წახალისებს ბავშვებს შორის პოზიტიურ ურთიერთობებსა და თანამშრომლობას (მაგალითად: ჯგუფში ჩართვა, დამეგობრება, გაზიარება და სხვა); გ) საგანმანათლებლო პერსონალი ხელს უწყობს ჯგუფის ერთობის შექმნას; დ) თითოეულ ბავშვს აქვს სხვადასხვა მეწყვილესთან თამაშის შესაძლებლობა; ე) საგანმანათლებლო პერსონალი ეხმარება თითოეულ ბავშვს ბრაზისა და სხვა ემოციების მართვაში/რეგულირებაში; თ) თითოეული ბავშვი აღიარებულია თავისი შესაძლებლობებითა და განსხვავებულობით.

2. სტანდარტი – დაწესებულების თანამშრომლები მგრძნობიარენი, გულისხმიერნი არიან, გამოხატავენ პატივისცემას თითოეული ბავშვის მიმართ და აღიარებენ მათ. სტანდარტის ინდიკატორები: ა) აღმზრდელ-პედაგოგი და აღმზრდელი უსმენენ თითოეულ ბავშვს და ურთიერთობენ თითოეულ ბავშვთან ინდივიდუალურად;

3. სტანდარტი – დაწესებულების თანამშრომლები პოზიტიურად ურთიერთობენ თითოეული ბავშვის ოჯახთან. სტანდარტის ინდიკატორები: ბ) დაწესებულების თანამშრომლები პატივისცემით ურთიერთობენ თითოეული ბავშვის ოჯახთან; დ) ბავშვის თითოეული წარმომადგენელი თავს გრძნობს აღიარებულად და დაფასებულად; ე) აღმზრდელ-პედაგოგი და აღმზრდელი ეფექტურ კომუნიკაციას ამყარებენ ბავშვის ოჯახის წევრებთან.

მე-17 მუხლის მე-5 სტანდარტის თანახმად კი, – აღმზრდელ-პედაგოგი და აღმზრდელი ახორციელებენ **ინდივიდუალურ მიდგომას თითოეული ბავშვის მიმართ.** აღნიშნული სტანდარტის ინდიკატორებია: ა) აღმზრდელ-პედაგოგმა და აღმზრდელმა იციან თითოეული ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებები, ძლიერი მხარეები და ინტერესები; ბ) აღმზრდელ-პედაგოგს აღმზრდელთან ერთად შეაქვს პროგრამაში ცვლილებები, თითოეული ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებით; გ) აღმზრდელ-პედაგოგი და აღმზრდელი უზრუნველყოფენ თითოეული ბავშვის თანაბარ ჩართულობას,

განურჩევლად მათი შესაძლებლობებისა, საჭიროებებისა და ინტერესებისა; დ) აღმზრდელ-პედაგოგი და აღმზრდელი აწარმოებენ ინდივიდუალური განვითარების გეგმას თითოეული ბავშვისთვის, რომლის ფორმაც შემუშავებულია საჭიროებისამებრ.

აღნიშნული ნორმების სამართლებრივი ანალიზით დგინდება, რომ სახელმწიფოს აქვს დეტალურად გაწერილი სტანდარტები, რომელიც ყველა ადრეული და სკოლამდელი დაწესებულებისთვის სავალდებულოა და მისი მიზანია უზრუნველყოს ხარისხიანი სააღმზრდელო საგანმანათლებლო პროცესი. ბავშვის აღზრდისა და განათლების სტანდარტი შედგება 3 ნაწილისაგან, რომლებიც დადგენილებაში დამოუკიდებლად არის განხილული. რეგულაცია განსაზღვრავს სტანდარტებს, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს აღმზრდელ-პედაგოგმა და დაწესებულების თანამშრომლებმა, როგორც ბავშვთან, ასევე მათ ოჯახებთან ურთიერთობისას, რათა აღსაზრდელებმა შეიძინონ ცოდნა და გამოიმუშაონ უნარ-ჩვევები. ამდენად, აღნიშნული სტანდარტები მოწოდებულია ხელი შეუწყოს ადრეული ასაკის და სკოლამდელი დაწესებულების აღსაზრდელებს უნარების განვითარებაში. შესაბამისად, „Wonderland Preschool” თავის საქმიანობას დადგენილი სტანდარტების შესაბამისად უნდა წარმართავდეს.

მოპასუხის განმარტებით, საბავშვო ბაღსა და განმცხადებელს შორის ხელშეკრულების შეწყვეტის მიზეზი არშემდგარი თანამშრომლობა იყო, რაც განმცხადებლის მხრიდან გამოიხატებოდა ბაღის მიერ შეთავაზებული რეკომენდაციების, უგულებელყოფაში.

სახალხო დამცველის მიერ გამართულ ზეპირ მოსმენაზე ბაღის ფსიქოლოგმა ერთმნიშვნელოვნად ვერ განმარტა ის ღონისძიებები, რომელიც ბაღის ადმინისტრაციამ განმცხადებლის შვილის აგრესიული ქცევის შესაცვლელად გაატარა. რეკომენდაცია, რომელიც ფსიქოლოგმა მითითებული მდგომარეობის შესაცვლელად გონივრულად მიიჩნია, იყო განმცხადებლის შვილის ბაღში სიარულის დროებით შეწყვეტა. ფსიქოლოგის განმარტებით, ნ.-ს უკეთესობა არ ჰქონდა და მისი სიარული ბაღში იყო დროის ფუჭი დანაკარგი, ვინაიდან ბავშვს არ აქვს განვითარება და საჭიროებს უკეთეს გარემოში ყოფნას. ასეთ გარემოდ ფსიქოლოგი მიიჩნევს სიტუაციას, სადაც ბავშვს ექნება ახალი შესაძლებლობები საკუთარი თავის დასამკვიდრებლად და არ იქნება იმავე გარემოში, სადაც ნ.-ს მიმართ სხვა ბავშვების მხრიდან არის ჩამოყალიბებული უარყოფითი განწყობები და უფრო ხიან მას. ფსიქოლოგმა ასევე აღნიშნა, რომ მისი რეკომენდაცია იყო ნ.-ს ერთი საათი გაეტარებინა მხოლოდ დედასთან ერთად, რადგან ეჭვიანობდა მის დაზე. საპასუხოდ განმცხადებელმა აღნიშნა, რომ მის შვილთან იგი მეტ დროსაც ატარებდა.

აღსანიშნავია, რომ მოპასუხის მიერ 2018 წლის 16 თებერვალს მოწოდებულ პასუხში აღნიშნულია, რომ როდესაც ნ.-ს მხრიდან პრობლემური ქცევა გამოვლინდა **„მეტი ინტენსივობით დაიწყო მუშაობა პედაგოგმა და ბაღის ფსიქოლოგმა“**. ფსიქოლოგმა თავად მიუთითა, რომ კვირაში ერთხელ (ხუთშაბათობით) მუშაობდა ნ.-ს ჯგუფში დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში - **მთელ ჯგუფთან და არა განმცხადებლის შვილთან**. ზეპირ მოსმენაზე ფსიქოლოგმა განმარტა, ბაღში გატარებულ ერთ საათს ის არ უთმობს თერაპიას,

არამედ კონკრეტული პრობლემის აღმოჩენის შემთხვევაში ის რეკომენდაციას აძლევს მშობლებს და მასწავლებლებს.

ამდენად, ფსიქოლოგი ასრულებდა ვალდებულებას, რომლის შესრულებაც მას ნებისმიერ შემთხვევაში მოუწევდა საბავშვო ბაღთან დადებული შრომითი ხელშეკრულებიდან გამომდინარე. ზეპირ მოსმენაზე ფსიქოლოგმა ასევე აღნიშნა, რომ მხოლოდ ხუთშაბათობით 40-60 წუთის განმავლობაში მუშაობს აღსაზრდელების ერთ ჯგუფთან. საქმეში არსებული მასალებით არ დასტურდება ფსიქოლოგის მხრიდან განმცხადებლის შვილთან ინტენსიური ან/და ინდივიდუალური მუშაობის ფაქტი, რასაც შესაძლოა ნ.-ს ქცევის გაუმჯობესებისათვის შეეწყო ხელი, რამდენადაც ბაღისთვის სწორედ განმცხადებლის შვილის ქცევა იყო პრობლემური. დამატებითი, ვარჯიშის, აქტივობის ან ვიზიტის შესახებ ინფორმაცია ბაღს არ წარმოუდგენია. ასევე, ბაღს განმცხადებლისათვის დამატებით არ შეუთავაზებია სხვა ფსიქოლოგის მომსახურება, რომელიც ინდივიდუალურად მის შვილთან იმუშავებდა. ამასთან, ბუნდოვანია, აღნიშნულ პროცესში ბაღის აღმზრდელების როლი - აძლევდა თუ არა ფსიქოლოგი მათ რეკომენდაციებს განმცხადებლის მსგავსად.

ამასთან, როგორც განმცხადებელი მიუთითებს, აღმზრდელმა - ს. გ.-მა ნ.-ს უთხრა: „**საცოდავი დედაშენი შენს ხელში, როგორ გიძლებს**“ და თავში ხელი ჩაარტყა. მოპასუხეს აღნიშნულთან დაკავშირებით პოზიცია არ დაუფიქსირებია. შესაბამისად, სახალხო დამცველისათვის უცნობია მითითებული ფაქტის სისწორე.

სახალხო დამცველი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ შპს „Wonderland Preschool“ - ის დირექტორმა ერთპიროვნულად შეწყვიტა ხელშეკრულება განმცხადებელთან, ამასთან აღსანიშნავია, რომ მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულება არ ითვალისწინებდა ხელშეკრულების შეწყვეტის პირობებს და განმცხადებელს არ სურდა სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გასვლა. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ცალმხრივად ხელშეკრულების შეწყვეტა, სათანადო დასაბუთების გარეშე, შეიცავს დისკრიმინაციული გადაწყვეტილების მიღების რისკს. ამასთან, ბაღის მიერ განმცხადებლისათვის გაგზავნილ დოკუმენტს, განმცხადებელთან სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ არ აქვს ხელმოწერა და თარიღი, ასევე არ არის მითითებული სამართლებრივი საფუძველი, რომელიც ბაღს ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებას ანიჭებდა. მოპასუხემ განმცხადებელს მიაწოდა მშობლების მიერ ბაღისათვის 2018 წლის 22 იანვარს გაგზავნილი ელექტრონული ფოსტა, სადაც აღნიშნულია, რომ განმცხადებლის შვილი არის აგრესიული და მათი შვილები სახლში ნაკბენები და ნაცემები მიდიან. ამასთან, მშობლები მიუთითებენ რომ, მათი შვილების სხვა ბაღში გადაყვანას გეგმავენ. ელექტრონული ფოსტით ვერ დგინდება მშობლების ვინაობა, რომლებმაც უკმაყოფილება გამოთქვეს ასევე, თუ საიდან ფლობენ ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ კონკრეტულად განმცხადებლის შვილმა მიაყენა მათ შვილებს დაზიანებები; ბუნდოვანია, რა ღონისძიებები განახორციელა ბაღმა ამ მდგომარეობის თავიდან ასაცილებლად, იმის

გათვალისწინებით, რომ მშობლების განცხადებით, მსგავს ფაქტებს მრავალჯერადი ხასიათი ჰქონდა. ბაღმა განმცხადებელს 2018 წლის **24 იანვარს** გადასცა აღნიშნული მეილი და შეატყობინა ბაღის ადმინისტრაციის გადაწყვეტილება მასთან სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტის თაობაზე.

სხვა აღსაზრდელების მშობლების მიერ პრეტენზიის დაფიქსირებიდან ორ დღეში გადაწყვეტილების მიღებას სახალხო დამცველი ნაჩქარევად და გაუმართლებლად მიიჩნევს, ვინაიდან თავდაპირველად ბაღის ადმინისტრაციას უნდა შეესწავლა მშობლების მიერ მეილში მითითებული ფაქტების სისწორე, გასაუბრებოდა ორივე მხარეს და პრობლემის გამოვლენის შემთხვევაში ეცადა მდგომარეობის გამოსწორება.

ზეპირ მოსმენაზე დირექტორმა განმარტა, რომ ბაღში არსებული პროგრამა წარმატებით მუშაობს და მშობლები კმაყოფილები არიან. მისი მითითებით, ეს პროგრამა შესაძლოა ყველა ბავშვისთვის მისაღები არ იყოს. სახალხო დამცველი ვერ გაიზიარებს მოცემულ არგუმენტს, ვინაიდან თავად მოპასუხე განმარტავდა, რომ მათ სპეციალურად ნ.-სთვის შეცვალეს პროგრამა და გეგმიური აქტივობების ნაცვლად ზღაპარ-თერაპიული მეთოდებით გააგრძელეს მუშაობა. შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც განმცხადებლის შვილის ინტერესებზე ადაპტირებული პროგრამით არ მიმდინარეობდა სწავლება, არგუმენტი, რომ პროგრამა ვერ მოერგო ბავშვის საჭიროებებს, გაუმართლებელია.

როგორც აღინიშნა, მოპასუხისათვის პრობლემური იყო განმცხადებლის შვილის ქცევა. განმცხადებლისათვის ეს მოსაზრება მიუღებელია და აღნიშნავს, რომ მისი შვილი არ არის აგრესიული, არამედ პირიქით - კონტაქტურია. მშობლების განმარტებით, ბაღის ადმინისტრაცია მიიჩნევდა, რომ მათი შვილი პრობლემური იყო და დამატებით საჭიროებდა ინდივიდუალურ პედაგოგს.

სახალხო დამცველმა მოპასუხეს სთხოვა წარმოედგინა ვიდეომასალა, რომელიც განმცხადებლის შვილის აგრესიულ ქცევას დაადასტურებდა, თუმცა ასეთი ვიდეომასალა არ მოწოდებია. ზეპირ მოსმენაზე მოპასუხე მხარემ განმარტა, რომ ჩანაწერი მხოლოდ ორი კვირით ინახება.

ამდენად, იკვეთება, რომ განსახილველ საქმეში, განმცხადებლის შვილი ბაღის დირექტორისა და სხვა წარმომადგენლების მიერ **აღიქმებოდა აგრესიულად და ჰიპერაქტიულად**, ვინაიდან მათი აზრით, ნ.-ს ქცევა სხვა ბავშვების მიმართ იყო განსხვავებული და არამეგობრული. ვინაიდან, **საქმეში არსებული მასალები უტყუარად არ ადასტურებს განმცხადებლის შვილის აგრესიას სხვა ბავშვების მიმართ, ვიდეო მასალებისა და მშობელთა ვინაობის არსებობის გარეშე, მოპასუხე მხარის მიერ განმცხადებლის შვილის აგრესიული ქცევის დადასტურებულ ფაქტად დასახელებას სახალხო დამცველი მიუღებლად მიიჩნევს.**

სახალხო დამცველის შეფასებით, იმ შემთხვევაშიც, თუ დადასტურდებოდა, რომ განმცხადებლის შვილს არ შესწევდა ჯგუფში მუშაობის უნარი და გამოირჩეოდა აგრესიული ქცევით, ბალის დირექციას ძალისხმევა უნდა მიემართა ნ.-ს ქცევის გაუმჯობესებისაკენ, მაგალითად, უნდა შეეფასებინა მისი ქცევა, ფსიქოლოგს დამატებით, ინდივიდუალურად უნდა ემუშავა მასთან. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ნ.-ს ჯგუფში შვიდი აღსაზრდელი იყო, 14:00 საათის შემდეგ, უმრავლეს შემთხვევაში ოთხი აღსაზრდელი რჩებოდა ბაღში, ხოლო ჯგუფში ორი აღსაზრდელი და ერთი დამხმარე მუშაობდა. შესაბამისად, ეს ვითარება კიდევ უფრო ბუნდოვანს ხდის, თუ რატომ ვერ მოახერხა ბაღმა განმცხადებლის შვილის ქცევის გაუმჯობესება, თუკი მათ ყველა გონივრულ ზომას მიმართეს.

ამერიკის შეერთებული შტატების ჯანმრთელობისა და ადამიანის მომსახურების და განათლების დეპარტამენტის ერთობლივად მუშაობის მიზანია ცნობიერების გაზრდა, სახელმწიფოს და ადგილობრივი პოლიტიკის განვითარების მხარდაჭერა და დისკრიმინაციული პრაქტიკის აკრძალვა. გარდა ამისა, თუ პროცესი წარიმართა დისკრიმინაციული საშუალებების გამოყენებით, სასწავლო დაწესებულებიდან გარიცხვამ და დროებითმა ჩამოშორებამ შესაძლოა დაარღვიოს კანონმდებლობა. ერთ-ერთ რეკომენდაციას წარმოადგენს გარიცხვის და დროებით შეჩერების გამჭვირვალე პოლიტიკის შემუშავება. ადრეული ასაკის პროგრამებში უნდა ჩამოყალიბონ პოლიტიკა, რომელიც აღმოფხვრის ან მნიშვნელოვნად შეამცირებს გამორიცხვას, დროებით ჩამოშორებას ან სხვა გამორიცხვას. ამგვარი გამორიცხვის ღონისძიება შესაძლებელია გამოყენებულ იყოს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას, როდესაც საკითხი ეხება უსაფრთხოებას, რომლის, გადაჭრაც გონივრული ღონისძიებების გატარების მეშვეობით შეუძლებელია.¹⁰

ადრეული სკოლამდელი განათლების კონფერენციაზე სტოკჰოლმის უნივერსიტეტის პროფესორმა ულფ ჯონსონის (Ulf Johnson) განაცხადა რომ, „როდესაც დაბრკოლების წინაშე აღმოვჩნდებით გამოსავალი არ არის ბავშვის გარიცხვა, არამედ აუცილებელია სერვისის ადაპტაცია“.¹¹

ასევე საყურადღებოა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 2 ოქტომბრის N25-101 დადგენილება არეგულირებს თბილისის მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებში ბავშვის/აღსაზრდელის რეგისტრაციისა და მიღება-ამორიცხვის წესის დამტკიცების საკითხს. მართალია, დადგენილება ეხება თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს, თუმცა, პრინციპების დონეზე, შესაძლოა სხვა სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვისაც იყოს რელევანტური.

¹⁰ <https://www2.ed.gov/policy/gen/guid/school-discipline/policy-statement-ece-expulsions-suspensions.pdf>

¹¹ Recommendations Early Childhood Education/Preschool Education Conference
https://www.unicef.org/bih/Final_recommendations_engl.pdf

აღნიშნული დადგენილების მე-11 მუხლის თანახმად, აღსაზრდელის ზედიზედ 10 სამუშაო დღის, ხოლო, თვის პერიოდში 15 სამუშაო დღის განმავლობაში სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებაში გამოუცხადებლობა წარმოადგენს რეგისტრაციის შეჩერების საფუძველს. დადგენილება ითვალისწინებს ასევე საპატიო მიზეზების ჩამონათვალს, რომლის შემთხვევაშიც აღსაზრდელს გამოუცხადებლობა საპატიოდ ჩაეთვლება. დადგენილება, მხოლოდ ერთადერთ - არასაპატიო გამოუცხადებლობის - შემთხვევაში ითვალისწინებს აღსაზრდელის ამორიცხვას დაწესებულებიდან. აღსაზრდელის საბავშვო დაწესებულებიდან გარიცხვის სხვა შესაძლებლობას დადგენილება არ ითვალისწინებს.

ფაქტობრივი გარემოებების შეფასების და სამართლებრივი ანალიზის შედეგად, სახალხო დამცველი მივიდა დასკვნამდე, რომ ბალის მხრიდან განმცხადებელთან ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის რეალური მიზეზი ეფუძნებოდა ბალის დირექციის სამომავლო შიშს, რომ მშობლები თავიანთ შვილებს სხვა ბაღში გადაიყვანდნენ და ამით ბალი ფინანსური დანაკარგების საშიშროების წინაშე დადგებოდა. აღნიშნულზე მიუთითებს, ზეპირი მოსმენისას ბალის დირექტორის განმარტება: *„...დეკემბერში დაგვარგე ერთი ბავშვი, იმიტომ რომ მშობელმა ვერ მოითმინა... უკვე დაგვარგე.. იანვარში ორი მშობელი ფაქტიურად აპირებდა, თვითონ მითხრეს, რომ არ შეგვიძლია, ის მიდის ბაღში, რომ გახარებული იყოს ... და პირიქით შიში აქვს... მე ფაქტიურად უკვე ვკარგავდი ბავშვებს... ბავშვების ინტერესი იყო, ეშინოდათ მოსვლა ბაღში, ტიროდნენ და არ უნდოდათ, ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო.*

სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ ვარაუდზე დაფუძნებული შესაძლო ფინანსური დანაკარგები არ შეიძლება წარმოადგენდეს 2 წლის აღსაზრდელის ბალიდან გაშვების ობიექტურ და გონივრულ გამართლებას. ამასთან, ბაღმა არ გადადგა სათანადო და აუცილებელი ნაბიჯები მის მიერვე დასახელებული პრობლემის აღმოსაფხვრელად. აღნიშნულის ნაცვლად, ბალის ადმინისტრაციამ ერთპიროვნულად მიიღო გადაწყვეტილება ბავშვის გარიცხვის შესახებ, რაც ვერ იქნება მიჩნეული გამართლებულად. მოპასუხე მხარემ ვერ წარმოადგინა ლეგიტიმური მიზანი, რომელიც განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე წარმოშობილ დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდს გააქარწყლებდა.

სახალხო დამცველის შეფასებით, მოპასუხე მხარე არ მოქმედებდა ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე. ბავშვის ბალიდან გაშვება ვერ იქნება მიჩნეული ბავშვის საუკეთესო ინტერესად, ვინაიდან გარიცხვამ შესაძლოა მძიმე ტრავმა მიაყენოს აღსაზრდელის ფსიქიკას. მშობლის განმარტებით, ბალი მათი საცხოვრებელი კორპუსის გვერდით მდებარეობს და მათ ბაღთან დღის განმავლობაში რამდენჯერმე უწევთ გავლა, რა დროსაც ნ. ხელს იშვერს ბალის მიმართულებით, ასახელებს მისი ჯგუფელების სახელებს დამისთვის გაუგებარია, თუ რატომ არ შეუძლია ბაღში წასვლა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ

ადმინისტრაციამ განმცხადებელს არ განუსაზღვრა დამატებითი დრო სხვა ბალის მოსაძებნად, რათა ბალის შეცვლა მტკივნეულად არ ასახულიყო განმცხადებლის შვილზე. გარდა ამისა, ჰიპერაქტიურობის გამო ბავშვის ბალიდან გარიცხვა, საგანგაშოა იმ მხრივაც, რომ ბავშვები, რომელთა ქცევის მართვა შესაძლოა სხვა აღსაზრდელებთან შედარებით მეტ რესურსს მოითხოვდეს, შესაძლოა დამატებითი ტვირთი იყოს და წარმოშობს საბავშვო ბალის მხრიდან ერთპიროვნული, დისკრიმინაციული გადაწყვეტილებების მიღების მაღალ რისკს.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, დისკრიმინაცია არსებობს მიუხედავად იმისა, პირს რეალურად აქვს თუ არა ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული ნიშანი, რომლის გამოც მის მიმართ დისკრიმინაციული ქმედება განხორციელდა. მითითებული ნორმა თავის თავში მოიცავს აღქმით დისკრიმინაციას. აღქმით დისკრიმინაცია სახეზეა, როდესაც ადამიანს განსხვავებულად ეპყრობიან იმის გამო, რომ დისკრიმინაციის ჩამდენის აღქმით, მას დისკრიმინაციისგან რომელიმე დაცული ნიშანი აქვს. ამასთან, არ აქვს მნიშვნელობა, პირი რეალურად იყოს დაცული ნიშნის მატარებელი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველმა დაადგინა, რომ შპს „Wonderland Preschool“ მხრიდან განმცხადებლის შვილის - ნ. ტ.-ს მიმართ ადგილი ჰქონდა ქცევის ნიშნით აღქმით პირდაპირ დისკრიმინაციას.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, საქართველოს სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს შპს „Wonderland Preschool“-ს, რომ

- საადმინისტრაციო და საგანმანათლებლო მომსახურების განხორციელების პროცესში იხელმძღვანელოს თანასწორობის პრინციპის დაცვით;
- მომავალში თავი შეიკავოს აღსაზრდელის კანონიერ წარმომადგენელთან ხელშეკრულების შეწყვეტისაგან ქცევის ან სხვა პირადი მახასიათებლის გამო;
- ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, აღსაზრდელის კანონიერ წარმომადგენელთან დადებული ხელშეკრულებით ანდა ბალის შიდა რეგულაციით დეტალურად გაწეროს ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები.

გთხოვთ, მაცნობოთ რეკომენდაციის განხილვის შედეგები.

პატივისცემით,